# ჩვენი საყვარლის,
# ჰზ. მუჰამმედის
# ცხოვრება



მწერალი
ამინე ქევსერ ქარაჯა
აიშე ილდიზ ილდირიმ

მხატვარი
ელიფ იემენიჯი შენ

თურქეთის რელიგიის საქმეთა სამმართველოს ფონდის გამომცემლობა

muslim Georgia international charity foundation

# ჩვენი შუამავლის,
# ჰზ. მუჰამმადის
# ცხოვრება


მწერალი

ამინე ქევსერ ქარაჯა

აიშე ილდიზ ილდირიმ

მთარგმნელი

ელიფ იემენიჯი შენ



თურქეთის რელიგიის საქმეთა სამმართველოს ფონდის გამომცემლობა

გამომცემლობის მმართველი:
დრ. იუქსელ სალმან

მწერალი:
რამია გულჯან

მხატვარი:
ოსმან თურჰან

კოორდინატორი:
დრ. ომერ მენექშე

რედაქტორი:
ელიფ არსლან

გამომცემლობის ხელმძღვანელი:
მეჰმეთ ერდოან

გრაფიკის დიზაინი:
ლოქომოთიფ ჯ.ა.

ქართულად თარგმნა:
ნინო კახაძე

ქართული გრაფიკა:
ბილალ ილქაი

# სარჩევი


ჩვენი შუამავლის ამ ქვეყნად მოსვლა ........ 6

ჩვენი შუამავალი თავის პაპუასთან ........ 8

ჩვენი შუამავალი ბიძასთან ........ 10

ჩვენი შუამავლის ლამაზი ჩვევები ........ 12

ჩვენი შუამავლის ........ 14

ბავშვებთან ურთიერთობა ........ 14

ჩვენი შუამავლის ქორწინება ........ 16

ჩვენი შუამავალი ჰირას მაღაროში ........ 18

ჩვენი შუამავლის პირველი მიმდევრები ........ 20

ჩვენი შუამავალი მედინაში ........ 22

გადადის (ჰიჯრეთი) ........ 22

ჩვენი შუამავალი მედინაში ........ 24

ჩვენი შუამავალი ........ 26

მექქეს ათავისუფლებს ........ 26

ჩვენი შუამავალი გამოსამშვიდობებელ ჰაჯობაზე ........ 28


სტამბოლი
ანკარა
დამასკო
იერუსალიმი
უჰუდის მთა
მედინა
მექა
ტაიფი
სევრას მთა
აბისინია

სიერის რუკა




ჰიჯრის რუკა



# ჩვენი შუამავლის ამ ქვეყნად მოსვლა

ჩვენი შუამავლის დაბადებამდე მექაში რთული დღეები იდგა. ადამიანები ალლაჰთან ერთად, მზეს, ქვისგან, ხალვისგან და ხისგან დამზადებულ ქანდაკებებს სცემდნენ თაყვანს. ფიქრობდნენ, რომ ისინი მათთვის სიკეთისა და ბოროტების მომტანნი იყვნენ. ფიქრობდენენ, რომ ამ თაყვანისცემით ალლაჰს უახლოვდებოდნენ. დაავიწყდათ, რომ მხოლოდ ალლაჰს უნდა შევედრებოდნენ, იმისთვის რომ კარგი ადამიანები ყოფილიყვნენ, ერთმანეთს უნდა დახმარებოდნენ. ადამიანებს ერთმანეთისადმი პატივისცემა დაეკარგათ, ავადმყოფებსა და მოხუცებს არ იბრალებდნენ, ღარიბსა და უპატრონოებს ზემოდან უყურებდნენ.

სწორედ ასეთ დროს, 571 წელს, რებიულევველი თვის ორშაბათ დღეს, 12 რიცხვში, ერთ ძალიან ახალგაზრდა და კეთილ ქალს, სახელად ამინეს, ბავშვი შეეძინა. ამინეს დამხმარე, უმმუ ეიმენი, სიხარულით გაიქცა ბავშვის ბაბუასთან, აბდულმუტალიბთან, და საოცარი ამბავი შეატყობინა. აბდულმუტალიბმა შვილიშვილი ხელში აიყვანა, ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი ვაჟის ობოლი შვილი, სიყვარულით გულში ჩაიკრა. ის ქააბაში წაიყვანა. დაბადებული ბავშვი ჩვენი საყვარელი შუამავალი იყო. აბდულმუტალიბმა შვილიშვილს მუჰამმედი დაარქვა. ეს სახელი "ცაში და ხმელეთზე, ყველასგან ქებულს" ნიშნავს. შვილიშვილის დაბადებისთვის ღმერთს ათასჯერ მადლობა შესწირა, ქალაქში მცხოვრები მდიდარი თუ ღარიბი სახლში მიიპატიჟა და გაუმასპინძლდა.

ჩვენი შუამავლის დაბადების ღამეს სამყაროში, სხვადასხვა ადგილას დაუჯერებელი ამბები მოხდა. ზოგიერთ ადგილას ზღვა დაშრა, ზოგან კი წყლით გაივსო. ცეცხლთაყვანისმცემელთა მრავალი წლის მანძილზე მოგიზგიზე ცეცხლი ჩაქრა. ქააბას ქანდაკებები ამოყირავდა.



# ჩვენი შუამავალი თავის პაპასთან

მექქა ცხელი და უდაბნო ქალაქია. ბავშვების სათანადოდ აღსაზრდელად შეუფერებელი ადგილია. ამიტომაც, ახალშობილები განსაზღვრული დროით, მექქადან მოშორებით, ძიძებთან რჩებოდნენ. მექქელი ბავშვების მსგავსად, მუჰამმედიც გარკვეული დროით ძიძასთან, ჰალიმესთან დარჩა.





პატარა მუჰამმედი 6 წლის რომ გახდა, დედამ გადაწყვიტა მისი მედინელი ნათესავებისთვის გაცნობა. უმმუ ეიმენთან, ერთად მედინას გზას დაადგა. პატარა მუჰამედმა მედინეში ერთი თვის მანძილზე დრო სასიამოვნოდ გაატარა. მამის, აბდულლაჰის, საფლავიც მოინახულეს. უკან დაბრუნებისას ამინე ავად გახდა და გარდაიცვალა.

ამის შემდეგ მუჰამმედმა ბაბუასთან დაიწყო ცხოვრება. ბაბუა აბდულმუტალიბი ძალიან უყვარდა, მასთან ბედნიერი ბავშვობა გაატარა. ბაბუასაც ძალიან უყვარდა და ცდილობდა მისთვის უდედმამობა არ ეგრძნობინებინა. აბდულმუტალიბს ქააბის გვერდით დასაჯდომი ბალიში ჰქონდა. ბალიშზე საყვარელი შვილიშვილის, მუჰამმედის, გარდა მასზე არავის სვამდა.

ორი წლის შემდეგ აბდულმუტალიბი ძალიან მოხუცდა. შვილიშვილი ვინმესთვის უნდა ჩაებარებინა.



# ჩვენი შუამავალი ჰიქასთან

ჩვენი შუამავლის ბიძა, ებუ ტალიბი, ღმობიერი, სამართლიანი და მეძქელების საყვარელი და პატივსაცემი ადამიანი იყო. ამ თვისებების გამო, სიკვდილამდე ამდულმუტალიბმა პატარა მუჰამმედი ებუ ტალიბს ჩააბარა.

როცა პატარა მუჰამმედმა ებუ ტალიბთან ცხოვრება დაიწყო 8 წლის იყო. ებუ ტალიბი ბმისშვილის გარეშე სუფრასთან არ დაჯდებოდა, სადაც წავიდოდა ყველაგან თან მიჰყავდა, როგორც მეგობარს ისე ესაუბრებოდა. ის მიცოლას, ფატიმა ბინტი ესედსაც, ძალიან უყვარდა.

მას ძალიან თბილად ეპყრობოდა, საკუთარ შვილებამდე მას დაანაყრებდა ხოლმე. მუჰამმედი ძალიან ბედნიერი იყო მათთან ცხოვრებით.

ებუ ტალიბს დიდი ოჯახი ჰქონდა. ფინანსური შესაძლებლობა კი არ ჰქონდა სათანადო. მუჰამმედი ბიძას საქმეებში ეხმარებოდა, მის ცხვრებს აძოვებდა. ერთხელ კი, შამში წასულ ბიძას მეგზურობა გაუწია.

ებუ ტალიბმა მუჰამმედს ბედნიერი ოჯახური გარემო შეუქმნა, ძმისშვილს საკუთარი შვილივით ექცეოდა. მისი სწორად აღზრდისთვის ყველაფერს აკეთებდა, სიკვდილამდე უყვარდა და იცავდა.



# ჩვენი შუამავლის ლამაზი ჩვევები

მუჰამმედი სიმპათიურობითა და კარგი ზნეობით ყურადღებას იპყრობდა. საშუალო სიმაღლის, შავი ტალღოვან თმიანი, შავ დიდ თვალებიანი, გრძელ წამწამებიანი და ხორბლისფერი კანის იყო. სახის შუაში თეთრი კბილები ბრილიანტებივით უბრწყინავდა. კბილების სისუფთავეს დიდი ყურადღებას აქცევდა. კბილების გასაწმენდად მისვაქს (კბილების საწმენდი) თან ატარებდა. დაძინებამდე და გაღვიძებისას კბილებს იხეხავდა.

მუდამ იღიმოდა, იყო ტკბილმოუბარი, სამართლიანი და პატრიოტი. სტუმარს ყოველთვის რაღაცას შესთავაზებდა ხოლმე, მათი დახვედრისას ტანსაცმლის სიკოხტავესა და სისუფთავეს ყურადღებას აქცევდა. საზრიანი და მჭერმეტყველი იყო, მის სიტყვას ენდობოდნენ. ჩვენი შუამავალი თავმდაბალი იყო, მდიდარსა და ღარიბს არ გაარჩევდა, ყველას ესტუმრებოდა, მათ სუფრას მიუჯდებოდა. ავადმყოფებს ნახულობდა, მათი მდგომარეობით ინტერესდებოდა და მათთვის ევედრებოდა. სიცოცხლის მანძილზე არავისთვის ცუდი არ უთქვამს, არავისთვის გული არ უტკენია. ვინც მას ცუდად ეპყრობოდა, მათაც კი კეთილად ექცეოდა. სიტყვას არავის გააწყვეტინებდა, ყველას ყურადღებით უსმენდა. ძალზე გულუხვი იყო, თუ ვინმე რამეს სთხოვდა, ხელცარიელი არავის გაუშვებდა. მოხუცებს პატივისცემით ეპყრობოდა, ბავშვები უყვარდა და თბილად ექცეოდა.





იმდენად უნდობდა ყველა, რომ მექქელები დაუფიქრებლად აბარებდნენ საქონელს. მას "მუჰამმედულ-ემინულ"-ს ეძახდნენ, რაც სანდო მუჰამმედს ნიშნავს.

ჩვენი შუამავლის ახალგაზრდობაში მექქეს მცხოვრებლებმა ქააბე შეაკეთეს. შეკეთების დროს, გადასაწყვეტი იყო ვინ და როგორ მოათავსებდა შესაბამის ადგილას სამოთხის ქვას, რომელსაც ჰაჯერულ ესვედი ერქვა. ყველას უნდოდა ეს საქმე აეღო თავზე, რადგან, ფიქრობდნენ რომ, ვინც ამ ქვას თავის ადგილზე მოათავსებდა, უფრო მეტი პატივისცემა ექნებოდა. საკითხის გადასაჭრელად ასეთი რამ მოიფიქრეს: ვინც შემოვიდოდა ქაბეს კარში პირველი ის გადაწყვეტდა ამას.

ყველა ინტერესით ელოდა პირველ შემომსვლელს. პირველი შემომსვლელი მუჰამმედულ-ემინული იყო. მექქის მცხოვრებლებს ძალიან გაუხარდათ, რადგან იცოდნენ რომ მუჰამმედი სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებდა. ჩვენმა შუამავალმა გადასაფარებლის მოტანა ითხოვა. მოტანილი გადასაფარებელი ძირს დააგო და ზედ ჰაჯერულ ესვედის ქვა მოათავსა. ყველა გადასაფარებლის კიდეს მოეჭიდა. შუამავალმა კი ქვა ადგილზე მოათავსა. ჩვენი შუამავლის გადაწყვეტილებით ყველა კმაყოფილი დარჩა.



# ჩვენი შუამავლის ბავშვებთან ურთიერთობა

ჩვენს შუამავლს მუდამ კარგი ურთიერთობა ჰქონდა ბავშვებთან. ყოველი შესაძლებლობისას ყურადღებას აქცევდა მათ, ესუმრებოდა, დანახვისას ესალმებოდა, მათი მდგომარეობით ინტერესდებოდა, ავადმყოფებთან სანახავად მიდიოდა.

ერთ დღეს პატარა ბავშვს, სახელად ებუ უმეირს, საყვარელი პატარა ჩიტი მოუკვდა. ებუ უმეირი ძალიან დამწუხრდა. მათ

სახლში მისული ჩვენი შუამავალი ებუ უმეირის გადახდენილმა ამბავმა დაამწუხრა, მისი წუხილი გაიზიარა და შეეცადა პატარა ბავშვის გამხიარულებას.

ჩვენს შუამავალს ბავშვები ძალიან უყვარდა, დროდადრო მათთან ერთად თამაშობდა. ზოგჯერ შუამავლის შვილიშვილები, ჰასანი და ჰუსეინი, ლოცვის დროს მას ზურგსა და მხარზე მოექცეოდნენ. შუამავალი სეჯდეზე წასვლისას ძირს დასვამდა, ადგომისას კი ისევ აიყვანდა. ბავშვებს ბაბუასთან თამაში ძალიან აბედნიერებდათ.



# ჩვენი შუამავლის ქორწინება

ერთ დღეს შამში წამსვლელი სავაჭრო ქარავნისთვის ემზადებოდნენ. ამ ქარავნის პატრონი მექქის საპატიო და მდიდარი ქალბატონი, ჰატიჯე იყო. ჰატიჯე ეძებდა ადამიანს, რომელიც ქარავნის დაცვის პასუხისმგებლობას იკისრებდა. ჰატიჯემ ებუ ტალიბის რჩევით ამ საქმისთვის ჩვენი შუამავალი აირჩია. შუამავლის ეს მგზავრობა მომგებიანი აღმოჩნდა. საქონელი გაყიდეს. საქმის დამთავრების შემდეგ უკან გაუდგნენ გზას.





კარგი ზნეობითა და ნდობით ყველას ანცვიფრებდა მუჰამმედი და რა თქმა უნდა ჰატიჯეს ყურადღებაც მიიქცია. ჰატიჯემ ჩვენს შუამავალს უთხრა, რომ მასზე უნდოდა დაქორწინება. მშვენიერი ქორწილით შეუღლდნენ. ერთად ცხოვრების მანძილზე ჩვენი შუამავალი ცოლს ეხმარებოდა და პატივს სცემდა. ორი ვაჟი და ოთხი გოგო შეეძინათ: ქასიმი, ზეინები, რუქიე, უმმუ გულსუმი, ფატიმა და აბდულაჰი.

# ჩვენი შუამავალი ჰირას მაღაროში

ჩვენი შუამავალი ხშირად დადიოდა ნურის მთაზე არსებულ ჰირას მაღაროში, იქ ალლაჰზე ფიქრობდა და მას ემსახურებოდა.

უკვე 40 წლის იყო. ორშაბათის ერთ-ერთი ღამე იყო. როგორც ყოველთვის ის ცის ყურებით იყო გართული, ალლაჰზე ფიქრობდა. დილის ნამაზის დრო ახლოვდებოდა. ღრმა სიჩუმეში უცებ ხმა მოესმა. ეს ხმა, ოთხ დიდ ანგელოზთაგან ერთ-ერთის, ჯებრაილის ხმა იყო. "წაიკითხე!" –მიმართა. ჩვენმა შუამავალმა სასოწარკვეთილმა თქვა: "მე კითხვა არ ვიცი". ჯებრაილ ანგელოზმა 3-ჯერ გაუმეორა "წაიკითხე!". ბოლოს ჩვენმა შუამავალმა ჰკითხა: "რა წავიკითხო?". ჯებრაილმა "წაიკითხე! გამჩენი ღმერთის სახელით წაიკითხე...". ჯებრაილმა, ყურანის ალაქ სურას პირველი ხუთი აია ჩვენს შუამავალს წაუკითხა: "წაიკითხე! გამჩენი ღმერთის





სახელით წაიკითხე. (მან, ალლაჰმა) ადამიანი შედედებული სისხლისგან გააჩინა. წაიკითხე! ღმერთი უსაზღვრო დიდების მფლობელია. მან, ღმერთმა წერა ასწავლა. ადამიანს უცნობი რამეები ასწავლა". ჩვენმა შუამავალმაც გაიმეორა.

იმ შემთხვევის შემდეგ ჰზ. მუჰამმედს შუამავლის მისია მიენიჭა. ჩვენი შუამავალი დაეჭვებული და გაოცებული გამოვიდა მაღაროდან და სახლში დაბრუნდა. კანკალებდა, იმ წუთასვე დაწვა. შუამავალი ასე რომ დაინახა ჰატიჯეს გაუკვირდა. "დამაფარეთ" უთხრა ჰატიჯეს. ჩვენმა შუამავალმა მომხდარი აუხსნა ჰატიჯეს. ჰატიჯე მიხვდა მის ქმარს შუამავლობის წოდება მიენიჭა და მუდამ მის გვერდით ყოფნა აღუთქვა.



# ჩვენი შუამავლის პირველი მიმდევრები

ჰზ. მუჰამმედის შუამავლობა პირველმა მისმა საყვარელმა მეუღლემ, ჰაციჯემ, დაიჯერა. მის შემდეგ მისმა ბიძაშვილმა ალიმ, შვილობილმა ზეიდმა, ახლო მეგობარმა ებუ ბექირმა. მათ ირწმუნეს, რომ ის ალლაჰისგან არჩეული შუამავალი იყო.

ჩვენმა შუამავალმა ხალხისთვის ისლამის ახსნა და მათი ისლამისკენ მოპაციქება დაიწყო. თავდაპირველად ამას მალულად აკეთებდა. ამ დროს ისლამს არ ჰყავდა ბევრი მიმდევარი. როცა ალლაჰისგან ბრძანება მოვიდა, რომ ღიად მოეპაციქებინა ხალხი ისლამისკენ, ჩვენმა შუამავალმა ყველა ნათესავი სუფრასთან დაპაციქა და ყველას, ალლაჰის ერთობა, მისი მსგავსისა და თანაბარის არარსებობა, ალლაჰისთვის ყველას თანასწორობა აუხსნა და ისლამზე მიიპაციქა.

მექქეში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ისლამზე მიწვევამ არ მოხიბლა. ამიტომ დაიწყეს მუსლიმების შევიწროება. ჩვენი შუამავალი და და მისი მიმდევრები ღვთისმსახურებას ასეთი ხალხისგან შორს ასრულებდნენ. შევიწროების ზრდის შემდეგ, ჩვენი შუამავლის ერთ–ერთი მიმდევრის, ერქამის, სახლში დაიწყეს შეკრება. აქ ღვთისმსახურებისა და საუბრის შესაძლებლობა ებლეოდათ.

ისლამის მიმდევართა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. შესაბამისად, ურწმუნოთა მხრიდან მათი მიმართ აგრესია მატულობდა.



# ჩვენი შუამავალი მედინაში გადადის (ჰიჯრეთი)

ურწმუნოების შევიწროების გამო მუსლიმანებს აღარ შეეძლოთ მექქეში ცხოვრება, ამიტომაც ჩვენი შუამავლის თანხმობით მუსლიმანებმა პატარ-პატარა ჯგუფებად დაიწყეს მედინაში გადასვლა. ჩვენი შუამავალი და მისი ახლო მეგობარი ებუ ბექირი გადასაბარგებლად გზას დაადგა. ჩვენმა შუამავალმა და მისმა ერთგულმა მეგობარმა გაიგეს, რომ ისლამის მტრები მათ კვალდაკვალ მისდევდნენ და სევრის მაღაროს შეაფარეს თავი. ძალიან დაიღალნენ. ჩვენს შუამავალს ჰზ. ებუ ბექირის მუხლზე ჩაეძინა. ცოტა ხნის შემდეგ ხმები მოესმათ. ეს ჩვენი შუამავლის კვალში მყოფი, ისლამის მტრების ხმა იყო. ჩვენმა შუამავალმა





აღელვებული ჰზ. ებუ ბექირი დაამშვიდა და ალლაჰის იმედად ყოფნა ურჩია.

ჰზ. ებუ ბექირი დანახულს არ უჯერებდა. მაღაროს შესასვლელში ობობას ქსელი გაება, ხოლო მტრედს ქსელის კუთხეში ბუდე გაეკეთებინა. მტრებმა ეს რომ დაინახეს, იფიქრეს, დიდი ხანია აქ არავინ შესულაო და იქაურობას გაშორდნენ. მოგვიანებით ჩვენი შუამავალი და ებუ ბექირი ისევ გზას გაუყვნენ. გრძელი და დამღლელი მგზავრობის შემდეგ მედინა გამოჩნდა. მედინელები ჩვენს შუამავალსა და მის მეგობრებს სიხარულით დახვდნენ. მედინას ყველა მცხოვრებს თავის სახლში სურდა ჩვენი შუამავლის სტუმრობა. ჩვენს შუამავალს არავისთვის გულის ტკენა არ უნდოდა. თქვა, რომ იქ დარჩებოდა, სადაც მისი აქლემი, ქავსა, გაჩერდებოდა. ქავსა ებუ ეიუბ ელ–ენსარის სახლის წინ გაჩერდა. ებუ ეიუბმა სიხარულით მიიპატიჟა ჩვენი შუამავალი თავის სახლში. შუამავლმა ამ სახლში შვიდი თვე დაჰყო.



## ჩვენი შუამავალი მედინაში

მედინაში დღეები ძალიან კარგად მიდიოდა. მექქედან გადასულები, ანუ მუჰაჯირები და მედინეში მათი მასპინძლები, ანუ ენსარები, დაძმობილდნენ. ერთმანეთს ყოველთვის მხარში ედგნენ და ეხმარებოდნენ. ჩვენი შუამავლის მიერ შექმნილ საძმოს წყალობით ყველა მშვიდად, მხიარულად და ბედნიერად ცხოვრობდა. ამ ბედნიერ ქალაქს, მუსლიმანების შეკრებისთვისა და ღვთისმსახურების შესასრულებლად მეჩეთი ესაჭიროებოდა. მეჩეთის მშენებლობაში ჩვენს შუამავალთან ერთად ჰზ. ებუ ბექირი, ომერი, ოსმანი და ალი სხვა საჰაბეებთან ერთად შრომობდნენ. ერთმანეთის თანადგომით მესჯიდ-ი ნებევი დასრულდა. ეს მხოლოდ ღვთისმსახურების ადგილი არ იყო, აქ ღებულობდნენ სტუმრებსაც, განიხილავდნენ მნიშვნელოვან საქმეებს, ხალხი იღებდა განათლებას.

მედინე მექქესგან განსხვავდებოდა. ხალხი თავისუფლად ღვთსმსახურებდა. მესჯიდ– ი ნებვში ერთად ნამაზს ლოცულობდნენ. ერთ დღეს, ჩვენმა შუამავალმა საჰაბეები მიიწვია მეჩეთში. აქ იმსჯელეს, თუ როგორ გაეგებინებინათ ლოცვის დრო სხვებისთვის. აბდულლაჰ ბინ ზეიდმა სიტყვის ნება ითხოვა. მან თქვა რომ სიზმარი ნახა და ის სიტყვები წარმოთქვა, რომლებიც სიზმარში ასწავლეს. ჩვენმა შუამავალმა თქვა რომ ეს სიზმარი მინიშნება იყო და გადაწყვიტეს ამ სიტყვებით მოეხმოთ სალოცავად. ეს საქმე ძლერადი და ლამაზი ხმის პატრონს, ბილალ– ი ჰაბეშს დაავალა. ამგვარად, ბილალი ეზანის წამკითხავი პირველი ადამიანი იყო. ჩვენმა შუამავალმა მედინეში ცხოვრებისას სხვადასხვა ქვეყნებში ისლამის მიღებისკენ მოწვევის წერილები გაგზავნა. შუამავლის ხელმძღვანელობით მუსლიმები მუსლიმანებისთვის ზიანის მიმყენებელი ხალხის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ამ ბრძოლათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ბედირი, უჰუდი და ჰენდეკი იყო.





# ჩვენი შუამავალი მექქეს ათავისუფლებს

დრო გადიოდა. მუსლიმანების რიცხვი იზრდებოდა, ისინი დიდ წარმატებას აღწევდნენ. მექქედან გადასულებს ქააბეს მონახულება და სამშობლოში დაბრუნება უნდოდათ. მუსლიმანების დიდი წარმატებების შემდეგ, მექქელი ურწმუნოები იძულებული გახდნენ ხელშეკრულება დაედოთ. ამ ხელშეკრულებას ჰუდეიბიეს ხელშეკრულება ერქვა. ამის მიხედვით 10 წლის განმავლობაში ომი არ იქნებოდა, ორი მხარე ერთმანეთს არ დააზარალებდა და მუსლიმანებს მომავალი წლიდან ქაბეს მშვიდად მონახულების საშუალება ექნებოდათ. თუმცა ურწმუნოებმა, ცოტა ხნის შემდეგ, ეს ხელშეკრულება დაარღვიეს. ჩვენი შუამავლის გაფრთხილების

muslim georgia

მიუხედავად ისინი ცუდად იქცეოდნენ. ამის გამო, ჩვენმა შუამავალმა მექქეს გათავისუფლება გადაწყვიტა.

როცა შუამავალი ჯართან ერთად მექქესკენ მიემართებოდა გზაში დიდა ძაღლი დაინახა ლეკვებთან ერთად, რომელსაც ახლახან ემშობიარა. ჩვენმა შუამავალმა ერთ–ერთ საჰაბეს უხმო და სთხოვა, იქ დარჩენილიყო ჯარის წასვლამდე, რომ ისინი არ დაშავებულიყვნენ. ასეთ მნიშვნელოვან დროსაც კი ასე ფაქიზად მოიქცა ჩვენი შუამავალი. ის ხომ ყველა ცოცხალ არსებას ლმობიერად ეპყრობოდა.

მექქელ ურწმუნოებს მუსლიმანების ჯარის დანახვაზე ძალიან შეეშინდათ, რადგან არ ელოდნენ მუსლიმთა ასეთ სიმრავლეს. ამიტომაც მუსლიმებს წინააღმდეგობა ვერ გაუბედეს. ჩვენმა შუამავალმა პირველ რიგში ქააბას კერპები დაამსხვრია. შემდეგ ქააბას შემოუარეს და ნამაზი ილოცეს. მექქელი ურწმუნოები ფიქრობდნენ, რომ ჩვენი შუამავალი მათ დასჯიდა, მაგრამ მან მათ აპატია. მუსლიმანები წლების წინ წართმეულ და მიტოვებულ მიწებს დაუბრუნდნენ.



# ჩვენი შუამავალი გამოსამშვიდობებელ ჰაჯობაზე

ჰიჯრეთის მეათე წელი იყო. ისლამი ბევრ ქვეყანაში იყო გავრცელებული. მუსლიმანების რიცხვი 100 000-ს აღწევდა. მექქეს გათავისუფლებიდან 2 წელი იყო გასული. ჩვენმა შუამავალმა მუსლიმანები ჰაჯობის მისიის შესასრულებლად მექქეში მიიწვია. მრავალმა ადამიანმა შეასრულა ჰაჯის მოვალეობა. ეს ჰაჯობა მუსლიმანებისთვის განსაკუთრებული იყო, რადგან ეს ჩვენს შუამავალთან ერთად შესრულებული პირველი და უკანასკნელი ჰაჯობა იყო. ჰაჯობის შემდეგ ჩვენი შუამავალი არაფაცის მთაზე ავიდა, სადაც ვედა ხუთბე შეასრულა, ანუ ხალხს მონოლოგით მიმართა.

ხუთბეზე ჩვენმა შუამავალმა ბრძანა, რომ მუსლიმანი მუსლიმანის და და ძმაა, რომ ყველა თანასწორია, მუსლიმანები ყოველთვის ერთმანეთს უნდა პატრონობდნენ, ალლაჰის დაწესებულ წესებს უნდა ასრულებდნენ, ერთმანეთს უფრთხილდებოდნენ. ქალიშვილებსა და ქალებს ნაზად უნდა





ეპყრობოდნენ. ბოლოს, ჩვენმა შუამავალმა ბრძანა, რომ მუსლიმანებს ორი რამ ამანათად დაუტოვა: ყურანი და ჩვენი შუამავლის სუნნეთი.

შუამავალი 63 წლის სიცოცხლის მანძილზე კარგი ქცევითა და ზნეობით ყველასთვის მაგალითი გახდა. ის ბოლო შუამავალი იყო, ალლაჰის საყვარელი და მორჩილი. შუამავალმა ადამიანებს ძმობა და მშვიდად ცხოვრება, ბოდმისა და სიძულვილის ყოველთვის ზიანის მიყენების შესახებ, პატიების სიდიადე ასწავლა.

ჩვენ მუსლიმანები, ჩვენი შუამავლის მიმართ სიყვარულისა და პატივისცემის გამოსახატავად, მისი სახელის ხსენებისას სალავათს ვამბობთ: "ალლაჰუმმე სალლი ალა სეიდინა მუჰამმედინ ვე ალა ალი სეიდინა მუჰამმედ". სალავათის მნიშვნელობაა: " ო ალლაჰ! ჩვენს შუამავალს ჰზ. მუჰამმედსა და მის ნათესავებს მშვიდობა მიეცი". სალავათი ამავდროულად ვედრებაა და ამ ვედრებით ალლაჰისგან დახმარებას ვითხოვთ.

1. მესჯიდი ნებევი, რომელიც ჩვენმა ფეიღამბერმა მეგობრებთან ერთად ააგო, როგორი მეჩეთი იყო? წარმოიდგინეთ და დახატეთ

muslim georgia

2. სწორი გზა დახაზეთ და გაიგეთ რომელია სწორი გზა ქაბეს შემოსავლელად



3. წარმოიდგინეთ რას აჩუქებდით ჩვენს შუამავალს და დახატეთ. გააფერადეთ თქვენი სურვილისამებრ

muslim georgia

